



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო
სკოლა**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ტარიელ კალანდაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი ;

წევრები:

ნინო უგრეხელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი);
ქეთევან სადრაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი (წევრი);
ინგა მოსიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი (წევრი);
ელენე ხუსკივაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი (წევრი);
ნანა ჭავჭავაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი (წევრი);
ხათუნა რუსიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი (წევრი);
მზევინარ მჭავანაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი (წევრი);
ნათია ომოცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი (წევრი);
თამარ ზედგენიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი (წევრი);
ნინო ჯოჯიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი (წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	223102700

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუსთავი
ფაქტობრივი მისამართი	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუსთავი
საფოსტო ინდექსი	0500
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge soprustavi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	soprustavi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577647467

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 03 ივნისის N 612838 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 1-2 ივლისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი რუსთავი; ერთი სასწავლო კორპუსი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი რუსთავი; ერთი სასწავლო კორპუსი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი რუსთავი; ერთი სასწავლო კორპუსი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 03 ივნისის N 612838 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა 2024 წლის 1-2 ივლისს განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო საჯარო სკოლაში მის. ქ. ასპინძა, სოფ. რუსთავი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა რამდენჯერმე და გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დანართებად წარმოდგენილ საჭირო მასალებს. განხილვის შემდეგ, ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შევათანხმეთ ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან: ნაწილი

დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ადგილზე მატერიალური სახით, ნაწილი კი ელექტრონული სახით. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი, მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის. ექსპერტები ვიზიტისას გაესაუბრნენ ადმინისტრაციის და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებს, ასევე ინტერვიუება ჩატარდა სპეციალურ მასწავლებლებთან, ბუღალტერთან, საქმისმწარმოებელთან და ბიბლიოთეკართან. დაწყებითი კლასების ექსპერტი ესწრებოდა მასწავლებელთა შეხვედრას ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების ექსპერტებთან და სჭიროების შემთხვევაში წამოჭრილ საკითხებს განიხილავდა დაწყებითი კლასების ჭრილში და მასწავლებლებს აძლევდა შესაბამის რჩევებს. ასევე დაწყებითი კლასების ექსპერტს შეხვედრა ჰქონდა დაწყებითი კლასების მასწავლებლებთან (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) ცალკე და კურიკულუმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის საკითხებს განიხილავდა უშუალოდ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა საჭიროებებიდან გამომდინარე. საგნობრივი ექსპერტები შეხვდნენ კათედრებს. ექსპერტები გაცნობილი იყვნენ სკოლის მიერ ატვირთულ მასალებს და აქედან გამომდინარე ქონდათ შეკითხვები, რაზეც მასწავლებლებმა გასცეს არგუმენტირებული პასუხები. შეკითხვები ქონდათ მასწავლებლებსაც, რაზეც ექსპერტთა მხრიდან მიიღეს ამომწურავი პასუხები. ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს ცალკეულ საკითხთან დაკავშირებით მასალა (მაგალითად, შემაჯამებელი დავალების ანალიზი, კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასებასთან დაკავშირებული მასალები, საგნობრივ კათედრის სამუშაო გეგმა და სხვა). ექსპერტები შეხვდნენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, სადაც განიხილებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტი სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო საჯარო სკოლის ჭრილში. საგნობრივი ექსპერტების შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან განხორციელდა ონლაინ. ვიზიტი ჩაიარა მშვიდ, წყნარ, პოზიტიურ გარემოში. სკოლა თანამშრომლობის სრულ მზაობას გამოხატავდა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლაში ვიზიტის დროს პედაგოგიურ კოლექტივს დავუსვით შეკითხვა რა არის მათი საუკეთესო გამოცდილება, რითაც სკოლა ამაყობს?

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ სიახლეების მოძიების, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა. მაგალითისათვის აღნიშნეს ინგლისური ენის მასწავლებლის გამოცდილების გაზიარება გაკვეთილის დაგეგმვის, შეფასების (განმსაზღვრელი და განმავითარებელი) შესახებ. ასევე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ პროექტები და პროექტული სწავლება მათი საუკეთესო გამოცდილებაა...სკოლაში განხორციელებულია სასწავლო პროექტები ესგ ექვსი პრიორიტეტული მიმართულების შესაბამისად.

სკოლას კარგი გამოცდილება აქვს არაფორმალური განათლების მიმართულებით. მუშაობს სხვადასხვა კლუბი, მაგალითად კლუბი „სმურფი“, რომელსაც გამოყოფილი აქვს ცალკე სივრცე, სადაც მოსწავლეებს შექმნილი აქვთ სასიამოვნო გარემო. ამ კლუბმა განახორციელა პროექტები „წიგნის სურნელი“, „პაემანზე დამპატიჟა სიბერემ“, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა და სხვა.

მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სოფლის თემი მრავალფეროვანია, სადაც წარმოდგენილია (ცხოვრობს) საქართველოს სამი რეგიონის (აჭარა, მთიანეთი, მესხეთი) მოსახლეობა. შესაბამისად სკოლა ყველა აქტივობას, პროექტს ახორციელებს ამ რეალობიდან გამომდინარე. პედაგოგიური კოლექტივი თვლის, რომ სოფელში მრავალფეროვანი თემის მშვიდობიანი თანაცხოვრება, სკოლის მიზანმიმართული საქმიანობის შედეგია. პედაგოგიური კოლექტივი აღნიშნავს, რომ ეს მათი საქმიანობის ძლიერი მხარეა.

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თემთან. ყველა ეს და სხვა საკითხები დადასტურდა სკოლაში ვიზიტის დროს შესაბამისი მასალის შესწავლისას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 120	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	პირველ ცვლაში 70 მოსწავლე, მეორე ცვლაში 50 მოსწავლე. ამ ეტაპისათვის სკოლას 120 მერხი არ აქვს. ამიტომ სკოლა მოსწავლეთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში იმუშავებს ორ ცვლაში. ისე რომ პირველ ცვლაში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 70, რადგან მეტი მერხი არ აქვთ. ხოლო მეორე ცვლაში - 50 მოსწავლე. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სკოლის ამ გადაწყვეტილებას.

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შეესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება;
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება;
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება;



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი .		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთი კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		



V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის	წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის საფუძველზე სკოლას მიეცა რეკომენდაცია: 1.2024 წლის 11 აპრილიდან 2025 წლის 11 აპრილამდე მოიპოვოს დასკვ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. 2.2024 წლის 31 ივლისიდან 2025 წლის 31 ივლისამდე აღჭურვოს სკოლა ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით.

¹ გარდა მხოლოდ სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების გათვალისწინებით 15.04.2024.-15.04.2026 მოაწყოს პანდუსი.
3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადების გათვალისწინებით 15.04.2024.-15.04.2026 მოაწყოს პანდუსი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
<i>ინდიკატორი N....</i>		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია



--	--	--

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შეიძწილიან ციკლური და ეფუძნება, სკოლის მისი ხედვას და ღირებულებებს. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნებს შესაბამისს ამოცანებს.	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცება.
ინდიკატორი 1.2.1.4	სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულებადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელიც უზრუნველყოფავს რეალისტურია	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფორმატის დაზუსტება, გამოყოს გრაფები: სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანა, ამოცანის შესაბამისი აქტივობები, ინდიკატორები, შესრულების ვადა, პასუხისმგებელი, რესურსი.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი 3.2.1.5.	სკოლას არ აქვს შემუშავებული თანამშრომელთა ადაპტაციის წესი	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს თანამშრომელთა ადაპტაციის შიდა სასკოლო დოკუმენტის შემუშავება
ინდიკატორი 3.5.1.	სკოლას არ აქვს რესურსებით სარგებლობის წესი	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის შიდასასკოლო დოკუმენტის შემუშავება



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმის (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.2 დაწყებითი საფეხური	მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	სასურველია, კათედრამ უზრუნველყოს ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტის შემუშავება, გაკვეთილების გეგმებით, სათანადო შეფასების რუბრიკებით და პედაგოგთა რეფლექსიებით. კარგი იქნება, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების ინტეგრირება საგანთა შორის. სასურველია კათედრამ ურთიერთთანამშრომლობით შეიმუშაოს კათედრის სამუშაო გეგმა, შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), კარგი იქნება გეგმაში ჩანდეს როდის მოახდენს პედაგოგი საკუთარი საქმიანობის რეფლექსიას, ასევე გამოიკვეთოს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების ინტეგრირება.
ინდიკატორი 2.1.2.2 საბაზო საფეხური	მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	სასურველია, კათედრამ უზრუნველყოს ურთიერთთანამშრომლობის დოკუმენტის შემუშავება, გაკვეთილების გეგმებით, სათანადო შეფასების რუბრიკებით და პედაგოგთა რეფლექსიებით. კარგი იქნება, საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების ინტეგრირება საგანთა შორის. სასურველია კათედრამ ურთიერთთანამშრომლობით შეიმუშაოს კათედრის სამუშაო გეგმა, შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), კარგი იქნება გეგმაში ჩანდეს როდის მოახდენს პედაგოგი საკუთარი საქმიანობის რეფლექსიას, ასევე გამოიკვეთოს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების ინტეგრირება.
ინდიკატორი 2.1.2.1 დაწყებითი საფეხური	საბუნებისმეტყველო	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს შექმნილი კურიკულუმების კათედრაზე განხილვა მასწავლებლების შეტანა ასევე სასურველია სრულად შეივსოს საგნობრივი კურიკულუმის ყველა გრაფა, სკოლამ უზრუნველყოს შექმნილი კურიკულუმის განხილვა კათედრის სხდომაზე.



ინდიკატორი 2.1.2.1 საბაზო	საბუნებისმეტყველო	სასურველია სრულად შეივსოს საგნობრივი კურიკულუმის ყველა გრაფა, შექმნილი კურიკულუმი განიხილული იქნას კათედრის სხდომაზე.
ინდიკატორი 2.1.2.3 საშუალო საფეხური	საბუნებისმეტყველო	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს კათედრის სხდომაზე მარტივი ტიპის ექსპერიმენტების (ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით) ჩატარების განხილვა, ასევე სასურველია სკოლამ დაგეგმოს და განახორციელოს მსგავსი მარტივი ექსპერიმენტები.
ინდიკატორი 2.1.2.3 საბაზო საფეხური	საბუნებისმეტყველო	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს კათედრის სხდომაზე მარტივი ტიპის ექსპერიმენტების (ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით) ჩატარების განხილვა, ასევე სასურველია სკოლამ დაგეგმოს და განახორციელოს მსგავსი მარტივი ექსპერიმენტები.
ინდიკატორი 2.1.2.3 საბაზო საფეხური	მათემატიკა	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს რესურსების ბაზის კლასების, თემების, საკითხების მიხედვით დალაგება და ასევე სასურველია დამხმარე რესურსად სკოლამ გამოიყენოს სამინისტროს მიერ რეკომენდებული ვებგვერდი
ინდიკატორი 2.2.2.4 დაწყებითი საფეხური	უცხო ენა	სასურველია მეორე უცხოური ენის შემთხვევაში (მოსწავლეთა მობილობის დროს, თუ გადმოსულ მოსწავლე თავის სკოლაში განცხადებულ უცხო ენას სწავლობდა) სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შემუშავება.



ინდიკატორი 2.2.2.4 საბაზო საფეხური	უცხო ენა	სასურველია მეორე უცხოური ენის შემთხვევაში (მოსწავლეთა მობილობის დროს, თუ გადმოსულ მოსწავლე თავის სკოლაში განცხადებულ უცხო ენას სწავლობდა) სკოლამ უზრუნველყოს კურიკულუმის შემუშავება.
---	----------	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლამ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება №99/6 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-15 მუხლის 10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

3.4.1.1 ინდიკატორი - სკოლას არ აქვს:

დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და არ აქვს ვიდეო-სამეთვალყურეო კამერები. ექსპერტთა ჯგუფმა რეალურად მიიჩნია შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადები და

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლას მიეცა რეკომენდაცია:

1.2024 წლის 11 აპრილიდან 2025 წლის 11 აპრილამდე მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.

2.2024 წლის 31 ივლისიდან 2025 წლშესაბამისადის 31 ივლისამდე აღჭურვოს სკოლა ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით.

შესაბამისად ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისი

ინდიკატორი 3.5.1.2. და ინდიკატორი 3.5.1.4. სკოლას არ აქვს პანდუსი. *ექსპერტთა ჯგუფმა რეალურად მიიჩნია შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადები და*

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს სკოლაში პანდუსის მოწყობა 2024 წლის 15 აპრილიდან 2026 წლის 15 აპრილამდე

ინდიკატორი 3.5.1.2. და ინდიკატორი 3.5.1.4. შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სსიპ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მისია და ხედვა, რომელიც ორიენტირებულია წარმატებაზე, უნარებზე, შესაძლებლობებზე, მოსწავლეთა განვითარებაზე ზრუნვით. დაწესებულება მისიაში აცხადებს, რომ ის აღზრდის გლობალურად მოაზროვნე, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებს, რომლებიც შეძლებენ საკუთარი თავის სრულად რეალიზებას და დამკვიდრებას საზოგადოებაში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხედვაა - სკოლა 2030 წლისათვის რეგიონში იქნება მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე დაწესებულება, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს გააკეთონ სწორი არჩევანი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის, რათა დაიმკვიდრონ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში. აღნიშნული მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ექსპერტთა შეფასებით, **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. როგორც სკოლა აცხადებს სოფელში წარმოდგენილია (ცხოვრობს) საქართველოს სამი რეგიონის მოსახლეობა (აჭარა, მთიანეთი, მესხეთი), ამიტომ სკოლის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მულტიკულტურულ გარემოში თემთან ურთიერთობა და მშობელთა ჩართულობის გაზრდა. ამისათვის სკოლაში პერიოდულად ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლის ფარგლებშიც ტარდება აქტივობები მშობელთა ჩართულობით. ერთ ერთი ასეთი აქტივობა იყო ულტურული მრავალფეროვნების კვირეული „მე ვირჩევ თანასწორობას... ადათწესები და დღესასწაულები ჩემს სოფელში“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა, მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად წარმოადგინეს სოფლის კულტურა, ისტორია, ტრადიცია, ადათწესები. აქტივობა დაიგეგმა გუნდურად და ღია იყო სასკოლო თემის ნებისმიერი წარმომადგენლისათვის.

სკოლის ხედვაში მოცემულია, რომ თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად სკოლა იქნება მაღალი ნდობისა და აღიარების დაწესებულება. ექსპერტთა ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოსწავლეების, მათ შორის მუსლიმი მოსწავლეებისთვის, უსაფრთხო კეთილგანწყობილი სივრცის შექმნას. სკოლაში დაიგეგმა და განხორციელდა ხუთი სასკოლო პროექტი, აღნიშნულ პროექტებში აქტიურადაა ჩართული როგორც სასკოლო საზოგადოება ისე თემი. სასკოლო პროექტების მიზანია საზოგადოების და მშობელთა ჩართულობის გაზრდა, არაფორმალური განათლების და კათედრების თანამშრომლობის გაძლიერება, სასკოლო პროექტების განხორციელების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლა მომავალშიც აპირებს განახორციელოს სხვადასხვა სასკოლო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის შექმნას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლამ შეიმუშავა მისია, ღირებულებები ხედვა. ამ მიზნით სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნა ჯგუფი, რომელიც შედგებოდა დირექციის, მასწავლებლების, მშობლების და თვითმმართველობის წევრებისაგან. ამ ჯგუფმა იმუშავა ახალ მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე. ამასთანავე, სასკოლო საზოგადოებიდან ყველა მსურველს ჰქონდა საშუალება თავისი მოსაზრება მიეწოდებინა ჯგუფისათვის. ჯგუფმა შეაგროვა შემოსული წინადადებები და შეადგინა ვერსია, რომელშიც გაითვალისწინა სასკოლო საზოგადოების უკუკავშირი, მისია, ხედვა და ღირებულებები შესწორდა და საბოლოო სახე მიიღო. სამუშაო ჯგუფმა აღნიშნული დოკუმენტი წარუდგინა სამეურვეო საბჭოს შესათანხმებლად, ხოლო პედაგოგიურმა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა. სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში და მისი განუყოფელი ნაწილია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმები სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს წევრები-მშობლები და პედაგოგები, თვითმმართველობის წარმომადგენელი, ასევე პედაგოგიური საბჭოს წევრები იცნობენ სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით რეგულირდება სასკოლო საზოგადოებისთვის მისიის და ხედვის გაზიარების მექანიზმები. შესაბამისად, საბოლოო ვერსიის შემუშავების შემდეგ, მოხდა მისიისა და ხედვის გაზიარება სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრებისათვის, მაგალითად: გაეცნოთ მშობლებს მშობელთა კრებებზე, დამადასტურებელი მასალა, მშობელთა კრების ოქმები, წარმოდგენილია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში სასკოლო საზოგადოებისთვის თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას და დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს, სკოლას აქვს ვებგვერდი, სადაც ასევე გამოქვეყნებულია სკოლის ხედვა, მისია ღირებულებები. გარდა ამისა, სკოლამ და კლასის დამრიგებლებმა აღნიშნული დოკუმენტი გააზიარეს კლასებში, მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სასკოლო პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის“ ფარგლებში, სკოლის ინიციატივით მოხდა სკოლისთვის სახელის შეცვლა. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტრუქტურის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის -



7 ივნის ბრძანება N -65/ნ -ით განსაზღვრულია ტიპი და სახელი:,, სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა“

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 სასწ.წლის;

ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმის შემუშავებული სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმის შემუშავებული სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი;

სამეურვეო საბჭოს ოქმი;

პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

მშობელთა კრების ოქმი;

მისია, ხედვა, ღირებულებები;

სასკოლო პროექტები:

ა.„კულტურული მრავალფეროვნება“,

ბ. „კულტურული მემკვიდრეობა“.

მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია მეთოდოლოგია შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა



1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლაში ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა სკოლის მისიის ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც არეგულირებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაგეგმვის პროცესი ჩართული მხარეებია სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი), თემი. რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას დაგეგმვის პროცესში. დოკუმენტით გაწერილია დაგეგმვის პროცედურა, რომელშიც გამოყოფილია: სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება; პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის; მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულებამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შემუშავებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. აღნიშნული გეგმა მოიცავს 2023-2030 წლებს, შესაბამისად არის 7 წლიანი, ციკლური, ექვემდებარება გადახედვა-რევიზირებას, ცვლილებების შეტანას. დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნის შესაბამისად გამოყოფილია ამოცანები, განსაზღვრულია ვადა, პასუხისმგებელი პირები. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა აღნიშნული დოკუმენტი. სტრატეგიული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიასა და ხედვას. გეგმაში გაწერილი ამოცანები ხელს უწყობს სტრატეგიული მიზნების მიღწევას. სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია არეგულირებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული წესის თანახმად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დაწესებულებამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის N 4 ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ პედაგოგიურმა საბჭომ შეითანხმა სკოლის სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები.

ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ 2024- 2025 სასწავლო წლისათვის სამუშაო ჯგუფის მიერ კვლავ გაგრძელდება მუშაობა დოკუმენტის სრულყოფისათვის, შესაბამისად ტექნიკური ხარვეზიც გასწორდება და სამეურვეო საბჭო დაამტკიცებს სტრატეგიული განვითარების

გეგმას, ნაცვლად პედაგოგიურის საბჭოსთან შეთანხმებისა. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა და დირექტორთან ერთად განვიხილეთ სტრატეგიული განვითარების გეგმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარების გეგმა დაამტკიცოს სამეურვეო საბჭომ.

3. სკოლის დირექტორის 2023 წლის 01 სექტემბრის 34/1 ბრძანებით დამტკიცებულმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის დირექტორთან ერთად განვიხილეთ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული მიზნებიდან, მითითებულია სტრატეგიული მიზნის შესაბამისი ამოცანები და აქტივობები. განსაზღვრულია ვადები და პასუხისმგებელი პირები. თუმცა გეგმის ფორმატი შესაცვლელია. აუცილებელია სტრატეგიული მიზნის გვერდით მიწერილი იქნას მიზნის შესაბამისი ამოცანები, ხოლო ამოცანის გასწვრივ შესაბამისი აქტივობები.

2023- 2024 სასწავლო წლის დასრულებისას სკოლის დირექტორმა მოამზადა სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელსაც წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს. ვიზიტის დროს დირექტორთან ერთად განვიხილეთ ანგარიში. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ამ ანგარიშს(თვითშეფასებას).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს სკოლის სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად დაგეგმილ აქტივობებს. იგი უნდა მოიცავდეს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნის შესაბამის ამოცანებს, აქტივობებს, მათი განხორციელების ვადებს, შესრულების მაჩვენებლებს, ამოცანის მიღწევის დამადასტურებელი წყაროების აღწერას, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს, საჭირო რესურსებს, ჩართულ მხარეებს. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოითხოვს დახვეწას. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმას სკოლა შეადგენს მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

მიეცა რჩევა დახვეწოს, დააზუსტოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფორმატი, გამოიყოს შემდეგი გრაფები 1.სტრატეგიული მიზანი, 2.მიზნის შესაბამისი ამოცანა, 3. ამოცანის შესაბამისი აქტივობები, 4.პასუხისმგებელი პირი, 5.შესრულების ვადა, 6.რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებული ჯგუფის შექმნის შესახებ.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებული ჯგუფის სხდომის ოქმი.

პედაგოგიური საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის შეთანხმების შესახებ.

სამეურვეო საბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების შესახებ.

მშობელთა კრების ოქმი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის გაცნობის შესახებ

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის სტრატეგიული მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის თანახმად, დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში მინიმუმ ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.

სასწავლო წლის ბოლოს ბრძანებით შეიქმნება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები. გაიწერება რა სახის მონიტორინგი განხორციელდება და ვის მიერ, ასევე განისაზღვრება მონიტორინგის ინსტრუმენტები და მონიტორინგის განხორციელების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმები დაფუძნებული იქნება მონაცემების შეგროვებაზე სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე აუცილებელი იქნება შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. ჯგუფის შეფასებით განსაზღვრული იქნება შეგროვებული მონაცემების გაანალიზება და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრა.



ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გაწერილია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ პირებთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების საბოლოო შედეგები წარედინება სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით და გამოიყენება შემდგომი დაგეგმვის ან ცვლილების განხორციელების ეტაპზე. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება და როგორც დირექტორმა აღნიშნა გასაუბრებისას, რეგულარულად ხდებოდა და ხდება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი. 2023- 2024 სასწავლო წლის დასრულებისას სკოლის დირექტორმა მოამზადა სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რომელსაც წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს. ვიზიტის დროს დირექტორთან ერთად განვიხილეთ ანგარიში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით დირექტორთან შეთანხმებული ანგარიში განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ დაწესებულება ფონქციონირებს ღიაობის და გამჭვირვალობის პრინციპით და ყოველთვის ასაჯაროებს შედეგებს, მათ შორის სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო ანგარიშის გაცნობა ხდება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. სკოლის დირექტორის ანგარიში, გამოქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონიტორინგის და შეფასების მშედგომ ცვლილებების განხორციელება. ცვლილების ინიცირებას აკეთებს სკოლის დირექტორი. ინიცირებამდე სამუშაო ჯგუფი ანალიზის საფუძველზე აყალიბებს მიგნებებსა და რეკომენდაციებს, რასაც მოჰყვება ინიცირება. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძველად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. ექსპერტთა შეფასებით, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
2. დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსთან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☒ შეესაბამება
 - ☐ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული პირების ფუნქცია-მოვალეობები. წარმოდგენილი სტრუქტურა შეესაბამება საშტატო ერთეულით განსაზღვრულ თანამდებობებს და სტრუქტურულ ერთეულებს. სტრუქტურაში ჩანს დაწესებულების იერარქია. სამეურვეო საბჭო ზედამხედველობას უწევს სკოლის დირექტორის საქმიანობას, დირექტორს ექვემდებარება მოადგილე, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, სკოლის ექიმი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბუღალტერი. დირექტორის მოადგილეს ექვემდებარება საგნობრივი კათედრები; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მეთვალყურეობას უწევს დარაჯის, დამლაგებლის და ცეცხლფარეშის შესრულებულ სამუშაოს. ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა სკოლაში დასაქმებულ პირთა ხელშეკრულებები, სადაც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებული პირების ფუნქციები. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციები რეგულირდება კანონმდებლობით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას აქვს შიდასასკოლო ჩარჩო დოკუმენტი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომლების არსებობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებას. მრჩეველთა საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი ტექნიკურ პერსონალთან ერთად ზრუნავს სკოლაში უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს



შექმნაზე. ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო და კათედრები ზრუნავენ სასწავლო პროცესის დაგეგვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. დირექცია ფასილიტაციას უწევს ამ პროცესებს, ჩართულია თითოეული რგოლის მუშაობაში, აფასებს განხორციელებულ პროცესებს და საჭიროებისამებრ გასცემს რეკომენდაციებს. სამეურვეო საბჭო საჭიროებისამებრ წარუდგენს სკოლის დირექტორს რეკომენდაციებს, ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს, იბარებს სკოლის დირექტორისგან წლის ბოლოს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრუქტურა

ხელშეკრულებები (დირექტორის მოადგილესთან, ექთანთან, მასწავლებელთან)

სამეურვეო საბჭოს ოქმი;

პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

თვითმმართველობის დებულება

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შიდა სასკოლო ჩარჩო დოკუმენტი რომელშიც გაწერილია პერსონალის მართვის პროცედურები. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ასახულია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი სტრატეგია და მიზნები, პერსონალის შემუშავებული სამუშაოს შეფასება, პერსონალის პროფესიული განვითარება ; პერსონალის წახალისება მათ შორის პერსონალთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. შინაგანაწესი არეგულირებს პერსონალის დისციპლინურული პასუხისმგებლობის საკითხებს; თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას; პერსონალის განთავისუფლებას და სხვა. დაწესებულების შინაგანაწესი თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებასთან.

სკოლაში ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა და მასწავლებლებმა ისაუბრეს და დაასაბუთეს, რომ აქვთ მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება მართვის პროცესში და მოიცავს როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორმა ინტერვიუებისას განაცხადა, რომ იგი რეგულარულად აფასებს სკოლაში არსებულ ვითარებას, აფასებს პერსონალის მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით ახდენს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, დაწესებულების ხელმძღვანელობა აანალიზებს არსებულ სიტუაციას და ატარებს საჭიროებისამებრ როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებული ვაკანტური საათების შესახებ ჯერ ცხადდება შიდა და შემდეგ ღია კონკურსი. შიდა კონკურსის შესახებ ინფორმაცია თავსდება სამასწავლებლოში არსებულ საინფორმაციო დაფაზე, სადაც ყველა მასწავლებელს შეუძლია გაეცნოს განთავსებულ ინფორმაციას. ღია კონკურსის დროს ახალი კადრების შერჩევა ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით; დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომელშიც წარმოდგენილი იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, რესურსცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენლები. კონკურსის ვადები და პირობები დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება. ღია კონკურსის არსებობის შემთხვევაში ვაკანსია ცხადდება მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ პორტალზე. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას ესაჭიროებოდა ქიმიის პედაგოგი, სკოლაში შეიქმნა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვაკანსიის ჯგუფი, გამოცხადდა ვაკანსია. პირველ ეტაპზე მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აპლიკანტების შერჩევა, მეორე ეტაპზე მოხდა გასაუბრება, ხმათა უმრავლესობით შეირჩა კვალიფიციური კადრი და წარედგინა სკოლის დირექტორს. ვიზიტის დროს შევისწავლეთ ვაკანსიასთან დაკავშირებული მასალები, რაც წესრიგშია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



4. პერსონალის მიერ დაკავებული თანამდებობა შეესაბამება შესაბამის კვალიფიკაციას. ახალი პერსონალი შეირჩევა კვალიფიკაციისა და გამოცდილების გათვალისწინებით. ასევე, სკოლა ხელს უწყობს ახალგაზრდა კადრების დასაქმებას. სკოლაში კადრების შერჩევა ხორციელდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის“ შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული ყველა საგნის პედაგოგი არის უფროსი და წამყვანი სტატუსის მქონე. Eshool ბაზაში მასწავლებელთა პირადი პროფილისა და მასწავლებელთა პირადი საქმის გადამოწმებით დგინდება, რომ მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულა შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის პერსონალი გუნდური და თანამშრომლობითი მუშაობის მრინციპით ახორციელებს თავის საქმიანობას. სკოლისათვის მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ხდება პედაგოგიური საბჭოზე. კათედრები ერთობლივად გაგემავენ და ახორციელებენ კურიკულუმით გათვალისწინებულ აქტივობებს. სკოლის პერსონალი აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების განხორციელებაში რაც დამყარებულია გუნდურობასა და თანამშრომლობითი მუშაობაზე. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლამ განახორციელა პროექტები „ფინანსური განათლება - ჩემი ფინანსური უსაფრთხოება“ და „კულტურული მრავალფეროვნება“ განხორციელებაში მთელი სასკოლო თემი აქტიურად და გუნდურად იყო ჩართული. ინციატივების წახალისება ხდება დირექტორის მიერ მადლობის გამოცხადებითა და ასევე მადლობის სიგელების გადაცემით სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. გადაწყვეტილებების მიღება სკოლაში ხდება გუნდთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში იქმნება კომისია სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ასევე შექმნილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, დაწესებულება ახდენს მოვალეობების დელეგირებას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ინტერვიურებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში დანერგილია თანამშრომლობითი გარემო და ყველა პირი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლა აღიარებს, რომ თანამშრომლობა მათი ძლიერი მხარეა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. სსკოლის შინაგანაწესით დადგენილია წახალისების ფორმები, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. რასაც ერთგვარად წახალისების ეფექტი აქვს. პედაგოგთა საქმიანობა ითვალისწინებს კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს წამყვანი პედაგოგები, რომლებმაც სტატუსი აიმაღლეს სხვადასხვა აქტივობების განხორციელების და პორტფოლიოს წარმოების გზით. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ პედაგოგებს კარიერულ ზრდასა და განვითარებაში, წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით კი ხდება სამუშაო შეხვედრების ჩატარება, კოლეგის გაკვეთილზე დასწრება და კათედრებზე გამოცდილების გაზიარება. საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები კი ვრცელდება სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით.

სკოლაში პედაგოგებს შორის ხდება წარმატების გამოცდილების პოზიტიური გაზიარება. სკოლაში, USAID პროგრამის ფარგლებში დაწყებითი საფეხურის ქართულისა და მათემატიკის ლიდერმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები, სადაც გაეცნენ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო სტრატეგიებსა და მეთოდოლოგიას მათ მიერ მიღებული ცოდნის გაზიარება პედაგოგებისთვის მოხდა პრეზენტაციების მეშვეობით. პრეზენტაციაში წარმოადგინეს USAID ის ტრენინგებზე მიღებული ცოდნა შემდეგ საკითხებზე: ინტეგრირებული გაკვეთილების მოდელირება და რეფლექსია, პრობლემური საკითხების ანალიზი, სამოდელო გაკვეთილები, საკლასო გარემო, კლასის მართვა. ინგლისური ენის



კათედრამ განახორციელა საერთაშორისო ორი პროექტი „ENOart “Light for Peace” და “fish”, აგრეთვე etwinnig-ის პროექტში “მედიაწიგნიერება და ჩვენ - Medialiteracy and us” მოიპოვე ეროვნული ხარისხის ნიშანი. მიღებული გამოცდილება და შესაბამისი სერთიფიკატები გაუზიარა სასკოლო საზოგადოებას. სკოლას წარმატებული სასწავლო მეთოდოლოგიის, ახალი იდეების გაზიარებისა და საკუთარ საწავლო გარემოში დანერგვისათვის გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლასთან და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სკოლა აცნობიერებს, რომ საჭიროა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმის გაწერა, რომელიც იქცევა სკოლის ტრადიციად და გაზრდის სასკოლო თემის მოტივაციას ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პილიტიკა;

შრომითი ხელშეკრულებები;

დამტკიცებული ვაკანსიის წესი;

ბრძანება ვაკანსიის გამოცხადების შესახებ;

2023 – 2024 სასწავლო წლის სასკოლო პროექტები/რეფლექსია;

მემორანდუმი;

ხელშეკრულება (მასწავლებელთან, ექთანთან;

შინაგანაწესი (სამეურვეო საბჭოს ოქმი შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა შეფასებას და პროფესიული ღონისძიებების დაგეგმვას პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით. სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 11 ნოემბრის N 63/1 ბრძანებით განისაზღვრა სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციით შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას ჩატარებული გაკვეთილის ირგვლივ. შესაბამისად, შეფასების საფუძველზე ხდება თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება. შემუშავებულია მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერისა და ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება. ჯგუფი მართავს სხდომებს და განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, შეფასება და უკუკავშირის მიცემა, სკოლას შემუშავებული აქვს და იყენებს გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმას. ჯგუფის სხდომები იმართება რეგულარულად და ხდება მასწავლებელთა შეფასება და საჭიროებათა დადგენა. მაგალითად საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგის დროს ხარისხის ჯგუფის მიერ გამოიკვეთა პრობლემა გაკვეთილზე უკუკავშირისა და შეფასების რუბრიკის გამოყენება, საპასუხოდ დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიებები ა) ლიტერატურის გაცნობა, ბ) დაგეგმილი აქტივობების ეფექტურად წარმართვისათვის დროის ლიმიტის სწორად მართვა, გ) გაკვეთილზე ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმებს. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას სკოლის ბაზაზე და მის გარეთ. ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ ხდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, საჭიროების დადგენა და საჭიროებაზე დაფუძნებული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. რასაც ხარისხის მართვის ჯგუფი თავის სხდომაზე აჯამებს. მაგალითად 2023-2024 სასწავლო წლის მეორე სემესტრში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები გაკვეთილზე ნაკლებად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს და დაიგეგმა შესაბამისი საგანმანათლებლო ვებგვერდის მოძიება და საგაკვეთილო პროცესში გამოყენება და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მასწავლებლის საქმიანობა ითვალისწინებს პროფესიულ ზრდას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ჩართულნი არიან კარიერული დაგეგმვის და წისვლის სქემაში, პედაგოგთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ მასწავლებლებმა იცვალეს სტატუსი და სკოლა ხელს უწყობდა ამ პროცესს. პედაგოგთა კარიერული განვითარება რეგულირდება „მასწავლებლის: პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით. ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია კარიერული ზრდა, როგორც წახალისების ფორმა. სკოლის ადმინისტრაციის მიერ ხდება პერსონალის აქტიური ინფორმირება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ტრენინგების, კონფერენციების შესახებ. მასწავლებლები წარმატებით მონაწილეობენ მასში, რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლას არ აქვს შექმნილი მექანიზმი. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული ახალი თანამშრომლის ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ახალ თანამშრომელს კეთილგანწყობილად ხვდებიან, აცნობენ სკოლის მისიას, ხედვას, შინაგანაწესს, სასკოლო გარემოს. სკოლა ხელს უწყობს ახალი პერსონალის ინტეგრაციის პროცესს, რაც დასტურდება ასევე თანამშრომლებთან გასაუბრებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში მასწავლებლები წახალისებული არიან განვითარებისათვის. დირექცია ხელს უწყობს და მხარს უჭერს პედაგოგებს გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგები, დროულად აწვდის ინფორმაციას თანამშრომლებს დაგეგმილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების შესახებ. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სერთიფიკატები, ცნობები, რითაც დასტურდება თანამშრომელთა მიერ კვალიფიკაციის ამაღლება. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულების თანახმად ხარისხის ჯგუფის ერთ-ერთი მოვალეობა პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციების გაცემაა- რა ტიპის ტრენინგი და გადამზადება გაიაროს პედაგოგმა. მასწავლებლებს მიეწოდებათ რესურსები, მხარდაჭერილია მათი ინიციატივები.

მიეცა რჩევა სკოლამ შეიმუშაოს თანამშრომელთა ტრანზაქციის შიდასასკოლო დოკუმენტი

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შესახებ ბრძანება;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;

ხარისხის მართვის ჯგუფის ოქმები (N1, N2, N3);

კონფერენციაში მონაწილეობის, ტრენინგის გავლის სერტიფიკატები;
კათედრის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრების, გაკვეთილის ანალიზის ფორმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ეფუძნება სასწავლო წლის დასაწყისში შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმას და შინაგანაწესს. სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის თემის მიერ, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე. სასკოლო სასწავლო



გეგმა ორიენტირებულია სკოლის მისიასა და მიზნებზე. სკოლის თითოეული რგოლი ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა საერთო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. სკოლაში შექმნილია და ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებებს და პროცესებს წარმართავს კანონმდებლობის დაცვით. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია პირველ კლასში ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის მოპოვების, მობილობის უფლების, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის პროცედურები. ვიზიტის დროს შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლით გაირკვა, რომ ეს პროცესები (მოსწავლეთა პირველ კლასში ჩარიცხვა, მობილობა) სკოლაში დაცულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით რეგულირდება საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პროცესები და თითოეული ტიპის პროცესზე პასუხისმგებელი პირები. სკოლაში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებელია სკოლის დირექცია. საგაკვეთილო პროცესებს ახორციელებენ მასწავლებლები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასების მექანიზმები, კლასისა და საფეხურის დამღევის წესი, მოსწავლეთა ტრანზაქციის მხარდამჭერი აქტივობები, არაფორმალური განათლება, მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში და სხვა დამხმარე პროცესები, რომლებიც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის სწორად წარმართვას. წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებით, აგილზე მოთხოვნილი დოკუმენტაციის შესწავლით გაირკვა, რომ სკოლაში ეს პროცესები დაცულია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით სარგებლობის უფლება აქვს თითოეულ მოსწავლეს. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ნიშნის ასამაღლებელი გამოცდა, რაც იმ შემთხვევაში უტარდება მოსწავლეს თუკი არ ეთანხმება არსებულ შეფასებას და მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სკოლის დირექციას განცხადებით. დისციპლინარულ გადაცდომასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს დისციპლინარული კომიტეტი. სკოლას ასევე აქვს სკოლის ბაზაზე მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის საჩივრის განხილვის, კანონიერი უფლების დაცვის და გასაჩივრების შიდასასკოლო ჩარჩო დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საჩივრის გახილვაში მონაწილე სუბიექტი/ ორგანო, საჩივრის განხილვის ვადები, საჩივრის განხილვის პრინციპები, გადაწყვეტილების სახეები და ა.შ. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს თანაბრად შეუძლია გადაწყვეტილების გასაჩივრება. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომელსაც საჭიროების მიხედვით, მიმართავს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელი. დისციპლინარული კომიტეტი შედგება ორი მასწავლებლის, ორი მშობლის და ორი მოსწავლისაგან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება კანონის ფარგლებში შრომით კოდექსის, გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების და სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. ასევე, სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სასკოლო საზოგადოების დაცვის მექანიზმები. სკოლის სამეურვეო



საბჭოში შედის როგორც მასწავლებელთა და მოსწავლეთა წარმომადგენელი, ასევე მშობელთა წარმომადგენლებიც, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი. სკოლა არ ზღუდავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას. სკოლის საზოგადოება ინფორმირებულია უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი. აღნიშნული საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონით ზოგადი განათლების შესახებ, სხვა კანონქვემდებარე აქტებით. ასევე სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, არსებობს შრომითი ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულების მხრიდან, შესაძლებელია სასამართლოში გასაჩივრება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;

დისციპლინური კომიტეტის ოქმი;

ხელშეკრულება მშობელსა და სკოლას შორის;

მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი.

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები;

ხელშეკრულებები;

სკოლის ბაზაზე საჩივრის განხილვის მექანიზმი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა მშობელთა და მოსწავლეთა უკუკავშირის ფორმები (კითხვარი), რომლითაც დასტურდება რომ დაწესებულება ითვალისწინებს სხვადასხვა მხარის უკუკავშირის და შესაბამისად მონიტორინგის პროცესშიც აქვს მზაობა მიიღოს და გაითვალისწინოს სხვადასხვა რგოლის მიერ გაცემული რეკომენდაციები თუ შეხედულებები, რაც დასტურდება სკოლის დირექტორთან გასაუბრებითაც. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ინფორმაციის გავრცელების ფორმები სხვადასხვა ჯგუფებში, საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების ფორმები, ასევე მიღებული უკუკავშირის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება.

სკოლა ახდენს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას მართვის პროცესებთან დაკავშირებით, ღებულობს უკუკავშირის და ახდენს მასზე რეაგირებას. ეს ხორციელდება მშობელთა და მოსწავლეთა კრებების მეშვეობით და სკოლაში არსებული „სურვილების ყუთით“. მიღებული უკუკავშირი კი გათვალისწინებულია მართვის პროცესებში. სკოლის მართვის პროცესებში აქტიურად არის ჩართული სამეურვეო საბჭო, რომელსაც ყოველწლიურად წარედგინება მომდევნო წლის ბიუჯეტი, რათა მოხდეს დამტკიცება. სკოლა აცნობიერებს, რომ საჭიროა მკაფიოდ გაწერილი მექანიზმები, ამიტომ გეგმავს მომავალი სასწავლო წლისათვის შეიმუშაოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებად ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა არიან მშობლები. სამეურვეო საბჭოს რამდენიმე ოქმი მაგალითად ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება მშობელთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროცესში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომლის წევრები არიან როგორც პედაგოგები და მოსწავლეები, ასევე მშობლები.

სკოლაში აქტიურად მუშაობენ კათედრები სადაც ხდება მასწავლებელთა სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალური ჩართულობა. კათედრებზე განიხილება სხვადასხვა სასკოლო პროცესები ხდება უკუკავშირი და ამ უკუკავშირის გათვალისწინება. ამ ეტაპზე სკოლა არ არის რაიმე გამოწვევების წინაშე. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს დაადასტურა, რომ საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრების მართვაში ჩართვას დიდი მნიშვნელობა აქვს და გამოხატა მზაობა ეს პროცესი უფრო აქტიური გახადოს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმი ;

თვითმართველობაში ოქმი;

საგნობრივი კათედრების ოქმი;

მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

შეფასება:

o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. სკოლა ზრუნავს უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნაზე. სკოლას ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმებს და საჭიროებისამებრ ახდენს რეაგირებას. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და სკოლას ჰყავს-ექთანი. სკოლაში ჩამოყალიბებულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი, და მასწავლებლები მორიგეობენ სართულების მიხედვით. სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინოდ გამოკრულია საევაკუაციო გეგმები. სკოლაში ხდება გარეშე პირთა შესვლისა და გასვლის კონტროლი. შემოსასვლელში მორიგეობენ სკოლის დარაჯები და დამლაგებლები. სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარი. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ამ ეტაპზე სკოლა თანამშრომლობს უფლებამოსილ ორგანოსთან, რათა მოხდეს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა სტანდარტებთან. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული, საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს დასკვნა შენობის მდგრადობის დასკვნის შესახებ, მაგრამ სკოლს უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სსიპ ლევან სამხარაულის ეროვნულ ბიუროსთან სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად. სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აღნიშნავთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლას უკვე დაწყებული აქვს პროცედურები, გაგზავნილია სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლის შენობა ძველია და საჭიროებს რეაბილიტაციას, ჩასმულია კიდევაც პროგრამაში და როგორც სკოლის დირექტორი გვეუბნება სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება შემოდგომაზე. სკოლას აქვს ძველი კორპუსი, რომელიც არ გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის და დაკეტილია (გამოიყენება როგორც საწყობი), სადაც დაზიანებულია ექვტროგაყვანილობა. სკოლაში არ არის ცენტრალური გათბობა და თბება ღუმელებით. წლების მანძილზე სკოლა თავისი ბიუჯეტით ახერხებდა კოსმეტიკური სამუშაოების ჩატარებას და სკოლა ტოვებს მოვლილობის შთაბეჭდილებას. სკოლას შთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. ასევე სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გაგზავნილია მოთხოვნა უფლებამოსილ ორგანოსთან დასკვნის მიღების მიზნით. სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას არ აქვს ვიდეოთვალი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, როლის თანახმადაც ის 2025 წლის 11 აპრილამდე მოიპოვებს დასკვნას შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ, ამასთან დაკავშირებით სკოლას დაწყებული აქვს საქმიანობა და წარმოდგენილი აქვს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება.

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლა 2025 წლის 31 ივლისამდე მოახდენს სკოლის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვას.

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად სკოლს მიეცა რეკომენდაცია:

2.2024 წლის 11 აპრილიდან 2025 წლის 11 აპრილამდე მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ.

2.2024 წლის 31 ივლისიდან 2025 წლის 31 ივლისამდე აღჭურვოს სკოლა ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეთწილი შესაბამისობა.

3. სასკოლო საზოგადოებისათვის პირველადი დახმარების გაწევას ახორციელებს სკოლის ექთანი და საჭიროებისამებრ ხდება სასწრაფო დახმარების გამოძახება. სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარით, მედიკამენტებით, არის მარტივი ტიპის (მათ მიერ დამზადებული) შირმა. ექთანს აქვს კაბინეტში ვიზიტორის რეგისტრაციის გაცემის ჟურნალი, სადაც მითითებულია ვიზიტორის სახელი და გვარი, ვიზიტის თარიღი, ჩივილის შინაარსი, გაწეული დახმარება. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გამოცხადებული იყო ვაკანსია ექიმზე, მაგრამ არავინ დარეგისტრირებული და შემდგომ მოხდა ექთნის აყვანა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის დერეფნებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ სართულის მორიგე მასწავლებლები. სკოლის ტერიტორიაზე წესრიგს აკონტროლებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესიდან გათავისუფლება ხდება მხოლოდ მშობელსა და დამრიგებელს შორის თანამშრომლობით. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილებას აკონტროლებენ სკოლის დარაჯები და დამლაგებლები. სკოლა დამრიგებლების მეშვეობით აწვდის ინფორმაციას და აცნობს უსაფრთხოების წესებს, როგორც მოსწავლეებს, ასევე მშობლებს. სკოლა სამომავლოდ გეგმავს ფსიქოლოგის მოწვევას და საუბრების ჩატარებას სასკოლო თემთან, ასევე ღია კარის დღეების მოწყობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც გამოკრულია თავალსაჩინო ადგილას, შინაგანაწესს იცნობს სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლის ადმინისტრაცია და საგნის მასწავლებლები ცდილობენ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული გარემოს შექმნას, სადაც თითოეული მოსწავლე დაცულად იგრძნობს თავს და ფსიქო-ემოციური განვითარების საშუალება მიეცემა. ასევე პოზიტიურია მასწავლებელთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ურთიერთობები. სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა ყავს სპეცმასწავლებელი. ზოგადად სკოლის პოზიტიური ემოციურად უსაფრთხო გარემო სასკოლო საზოგადოებას ჰარმონიული განვითარების საშუალებას აძლევს და უზრუნველყოფს მშვიდობიან თანამშრომლობას ყველა რგოლს შორის. ამასთანავე, სკოლა მუდმივად ცდილობს შემუშავებული ჰქონდეს პრევენციული ღონისძიებები დარღვევების თავიდან ასაცილებლად. უპირველეს ყოვლისა, დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, მოსწავლეები თავად ქმნიან ქცევის წესებს, რომლებიც შეესაბამება საყოველთაოდ დადგენილ ნორმებსა და სკოლის შინაგანაწესს. სკოლის დირექციის მიერ კონტროლდება რამდენადაა დაცული მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მშობლებს, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლს შორის თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია. სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ზრუნავს სკოლის ყველა ერთეული ერთობლივი და კოორდინირებული მუშაობით. სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. კლასის დამრიგებლების და თითოეული მასწავლებლის მიერ აქტიურად ხდება მოსწავლეებთან თანამშრომლობა. ტარდება სადამრიგებლო საათები ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თემებზე. სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

სასკოლო თემი მრავალფეროვანია (წარმოდგენილია საქართველოს სამი რეგიონი მთიულეთი, აჭარა, მესხეთი), ამიტომ სკოლა ახორციელებს ფრთხილ, თემის ინტერესებზე მორგებულ აქტივობებს, პროექტებს რომლებსაც სკოლა პრევენციულად, მიზანმიმართულად გეგმავს და ახორციელებს აქვს დიდი მნიშვნელობა და როგორც ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს მათი დაუღალავი შრომის შედეგია, რომ სოფელში მშვიდობიანათ ცხოვრობს სამი სცვადასხვა კულტურის მატარებელი რეგიონი. სკოლას შემუშავებული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნის მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებს სკოლის დამლაგებლები და კონტროლდება სკოლის ექთნის მიერ. სკოლაში სრულად მოწესრიგებულია სველი წერტილები. სკოლა აღჭურვილია საჭირო ჰიგიენური საშუალებებით. სკოლაში ყოველდღიურად ხდება ეზოსა და სკოლის შემოგარენის დასუფთავება. სკოლის დერეფნებში, ყოველ საკლასო ოთახში, კაბინეტებში, საპირფარეოს ყოველ განყოფილებაში განთავსებულია სანაგვე კონტეინერები, სკოლა ყოველდღიურად სუფთავდება სველი წესით. მერხები და მაგიდები იწმინდება სადეზინფექციო საშუალებებით. სკოლას სოციალური პროგრამის ფარგლებში დასაქმებული ყავს ერთი პირი, რომელიც ახორციელებს სკოლის ეზოსა და მისი შემოგარენის მოწესრიგებას. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარული ნორმების დაცვის წესი. წარმოებაში სველი წერტილების დეზინფექციის აღრიცხვის ჟურნალი. რგვლივ (სკოლის შენობაში, ეზოში) სისუფთავის და მოვლილობის განცდაა, რაც სასკოლო საზოგადოების შრომის შედეგია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლაში დაცულია პერსონალის პირადი მონაცემები. სკოლაში დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და ქცევის შესახებ მშობელთა ინფორმირება ხდება ინდივიდუალურად. დამრიგებლების მიერ არის მომზადებული ინდივიდუალური ნიშნების ფურცელი რომლის გაცნობასაც მშობელი ადასტურებს ხელმოწერით. სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს პერსონალის მონაცემთა დაცვას. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა

დაცვისა და დამუშავების წესი. ყველა ის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს არ არის საჯარო და ხელმისაწვდომი, მატერიალურად ინახება დაცულად, ხოლო ელექტრონულ სისტემაში ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ პირთათვის ვისაც უშუალოდ ეხება მათი შენახვა და დამუშავება.

დაწესებულების წარმომადგენლები აცნობიერებენ პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას. სკოლის სოციალურ ქსელში ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. სკოლა ინფორმაციას გასცემს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულებაში ასევე მოქმედებს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

7.. სკოლაში დაცულია პერსონალის და მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია. ასევე სკოლაში არსებული სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს კონფიდენციალური ან შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რის მიხედვითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხის მართვა. მექანიზმი მოიცავს ინფორმაციის დამუშავების ფორმებს, მასზე ხელმისაწვდომობას კონკრეტული პირებისთვის უფლებამოსილების ფარგლებში, დამუშავებული ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სამტაქტო ერთეულით განსაზღვრული შესაბამისი პოზიცია და არც სკოლის სტრუქტურაში გვხვდება. სკოლაში ადმინისტრაციის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვა ხორციელდება საქმისწარმოების წესის შესაბამისად. სკოლის მიერ პერსონალური ინფორმაცია მუშავდება მხოლოდ კანონის ფარგლებში. სკოლას განსაზღვრული ყავს ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. პერსონალური მონაცემები მუშავდება და ინახება ცალკე არსებულ მონაცემთა ბაზაში რომელზეც გარეშე პირებს არ აქვთ წვდომა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

8. დაწესებულება ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს აღნიშნული მექანიზმების მუშაობის გამართულობას. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის : დირექტორი ან დირექტორის მოადგილე, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. წელიწადში ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაცია და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომლითაც დასტურდება რომ სკოლა ამ მიმართულებით აწარმოებს შეფასებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



საგანგებოს სიტუაციების მართვის გეგმა;
მრჩეველთა საბჭოს ბრძანება;
ბრძანება რეფერალზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;
ობიექტის დეზინფექციის აღრიცხვის ჟურნალი;
პერსონალური ნომაცემების დაცვის წესი;
პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
საქმისწარმოების წესი;
მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
ადამინებისა და პროცესების უსაფრთხოების წესი;

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება0
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება.

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა დამაკმაყოფილებლადაა უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. შენობა-ნაგებობა და ფართი სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ აქვს გადაცემული პირველადი სარგებლობის უფლებით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. დაწესებულების ეზოში დგას ორი შენობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან გადასასვლელით (მათ შორის ერთი უძველესია და არ გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის, მასში დასაწყობებულია ამორტიზებული ივენტარი და შეშა). შენობა არის 3 სართულიანი, მოწესრიგებულია სველი წერტილები, მათ შორის სსსმმ. შენობა არ არის რეაბილიტირებული, სკოლას აქვს სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება მდიდარი წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, არის შირმა.. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 120 მოსწავლე. სკოლაში სწავლობს 70 ზე მეტი მოსწავლე. ამ ეტაპზე სკოლას მფლობელობაში აქვს 80 ინდივიდუალური სკამი და მერხი. დაწესებულებას სასწავლო პროცესს წარმართავს ერთ ცვლაში. შესაბამისად, სკოლამ შეიძლება მიიღოს 120 მოსწავლე ორ ცვლაში. ისე რომ ცვლაში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატებოდეს 80 მოსწავლეს. სკოლას არ აქვს პანდუსი ლიფტი, თუმცა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს ამ საკითხის მოგვარება. სკოლა ჩასმულია რეაბილიტაციის პროგრამაში, რომლის ფარგლებში მიიღებს ახალ ინვენტარს (მოსწავლის მერხი და სკამი) , შესაბამისად სკოლას 120 მოსწავლეზე ინვენტართან არ შეექმნება პრობლემა. საკლასო ოთახები, ეზო და დერეფნები სამივე სართულზე, იძლევა საშუალებას მოსწავლეთა სრულფასოვანი სწავლისათვის, დასვენებისთვის. სკოლას აქვს გამოყოფილი ფართი კვების ობიექტისათვის, რომელიც არ არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით და არ ფუნქციონირებს.

მიეცა რჩევა შეიმუშაოს შიდა სასკოლო დოკუმენტი სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციის და სარგებლობის შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას როგორც პერსონალისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები, მასწავლებლები. სკოლას აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში, წიგნები დანომრილია და გატარებულია საინვენტარო წიგნში. ისტ კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, კაბინეტში გამოკრულია წესები, ასევე საგაკვეთილო ცხრილი, სადაც მითითებულია დრო, როცა ისტ კაბინეტი თავისუფალია და მოსწავლეს, მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს ტექნიკით, ინტერნეტით. (სკოლა

უზრუნველყოფილია 24 საათიანი ინტერნეტით). სკოლას არ აქვს პანდუსი, თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლა 2024 წლის 15 აპრილიდან 2026 წლის 15 აპრილამდე მოაწესრიგებს და დაამონტაჟებს პანდუსს. სკოლას აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი აქვს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი, რომლის თანახმადაც სკოლაში მოეწყობა პანდუსი.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს სკოლაში პანდუსის მოწყობა 2024 წლის 15 აპრილიდან 2026 წლის 15 აპრილამდე

ინდიკატორის შეფასდა, როგორც ნაწილობრივად შესაბამისი.

3.სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია მდიდარი მხატვრული, საცნობარო და ენციკლოპედიური ლიტერატურით. მოსწავლეებს, მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკით. სკოლას აქვს და ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები დანომრილია. წიგნის გაცემა და დაბრუნება აღირიცხება ფორმულიარით. ყველა წიგნი გატარებულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკაში ასევე განთავსებულია თითო სახელმძღვანელოების თითო ეგზეკიარი, რომლითაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს მოსწავლემ, მასწავლებელმა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკამოფილებულია.

სკოლა არ არის რეაბილიტირებული, მაგრამ სკოლაში არის სასიამოვნო გარემო. არის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, მოვლილი ეზო, სადაც განთავსებულია სკამები დასვენებისათვის, ეზო შემოღობილია. სკოლა ზრუნავს შექმნას პირობები, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ სკოლაში ყოფნის სურვილი. არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ დადგენილი გრაფიკით. მოსწავლეებს გამოყოფილი აქვთ სივრცე კლუბებისა და პროექტებზე მუშაობისთვის. სკოლას აქვს სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. სკოლაში იმართება როგორც სასკოლო, ასევე სათემო სკოლას არ აქვს პანდუსი, თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლა 2024 წლის 15 აპრილიდან 2025 წლის 15 აპრილამდე მოაწესრიგებს და დაამონტაჟებს პანდუსს. სკოლას უკვე დაწყებული აქვს საქმიანობა მიმართებით და ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილი აქვს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი, რომლის თანახმადაც სკოლაში მოეწყობა პანდუსი

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს სკოლაში პანდუსის მოწყობა 2024 წლის 15 აპრილიდან 2026 წლის 15 აპრილამდე

ინდიკატორის შეფასდა, როგორც ნაწილობრივად შესაბამისი.

5.დაწესებულება უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მასალებით: რუკებით, თვალსაჩინოებებით. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შიდა სპორტული და სააქტო დარბაზები, სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ,

ფრენბურთის ბადე და კალათბურთის ფარები, ბურთები და სხვა. სკოლას აქვს ისტ კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და 24 საათიანი ინტერნეტით. საბუნებისმეტყველო საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ლაბორატორიაში. მოსწავლეებს ქიმიის ბიოლოგიის, ფიზიკის გაკვეთილები უტარდებათ ლაბორატორიაში; სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება მდიდარი წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლას აქვს მოსწავლის თანამედროვე მერხი და სკამი, სამედიცინო კაბინეტი. სკოლაში იმართება როგორც სასკოლო, ასევე სათემო ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სკოლა ჩამოყალიბდეს სოციალურულ სივრცედ.

ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

პროექტირების, კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები;

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

სპორტული ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები;

სასკოლო დაფების მიღება-ჩაბარების აქტები;

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნულ ბიუროსთან ხელშეკრულება;

სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;

სკოლის შენობის გეგმა (ნახაზი);

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია 24 საათიანი ინტერნეტით, სკოლას აქვს პროექტორები, საჭირო რაოდენობის კომპიუტერები, ლეპტოპები. სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით წარმატებით ხორციელდება სწავლა/სწავლების პროცესი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების გამოყენებით წარიმართება სასწავლო პროცესი და კოლეგების სამუშაო შეხვედრები ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში. კომპიუტერთან მუშაობა შეუძლია ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები. დაშვებულია: ტექსტების შეყვანა და რედაქტირება; ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა; დისკების გამოყენება დასაშვებია უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით; ელექტრონული ფოსტით სარგებლობა.

სკოლაში არსებული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა სრულიად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლაში არსებული დირექტორის კაბინეტი აღჭურვილია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. ასევე, სკოლის ყველა თანამშრომელი სარგებლობს საერთო ტექნოლოგიური სივრცით. არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ინფორმაციის გაზიარებას თანამშრომლებში, სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლის ფარგლებშიც ხდება კომპიუტერისა და პროექტორის ხშირად გამოყენება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის. მოსწავლეებისთვის დაწესებულია განრიგი, რის მიხედვითაც მოსწავლეები სარგებლობენ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით. სკოლამ შეიმუშავა ციფრული განვითარების გეგმა (რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია). შემუშავებულია გრაფიკი რომლის საფუძველზეც ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე. სასწავლო პროცესში ხორციელდება სასკოლო პროექტებისა და კომპლექსური დავალების პრეზენტაცია

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მატერიალური რესურსების (ტექნოლოგიური) ფლობის დამადასტურებელი მღება- ჩაბარების აქტები;

ციფრული განვითარების გეგმა;

WF მიღება-ჩაბარების აქტი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმის წარმოების წესი. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. სკოლას შემუშავებული აქვს საქმიანობების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ . „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანებასთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტაციის წარმოებისთვის სკოლას აქვს E-flow და E-school ის ბაზა რომელთა მოხმარებაც შეუძლია სკოლის ყველა თანამშრომელს პირადი მომხმარებლის და პაროლის საშუალებით. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (onlineschool.emis.ge) . შემოსული და გასული კორესპოდენციის, ასევე ბრძანებების ატვირთვა ხდება eflow-ში. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა სკოლის eschool-ის ბაზა. სკოლას სრულყოფილად აქვს ყველა საჭირო მონაცემი ასახული. ყველა საჭირო მონაცემი სწორია და შეესაბამება არსებულ რეალობას. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო სისტემაში ასახულია პერსონალის , მშობლების და მოსწავლეების პირადი და საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაციის განახლება ხდება პერიოდულად სკოლის საქმისწარმოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა eflow-ში რამდენიმე შემოსული კორესპოდენცია, რომელზეც დაწესებულებამ წარადგინა პასუხი. თითოეულ შემთხვევაში სკოლას დროულად ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია რესურს ცენტრისთვის. ასევე ვიზიტისას წარმოადგინეს ფინანსური ანგარიშგების ამსახველი დოკუმენტების წარდგენის დამადასტურებელი წერილები, სამეურვეო საბჭოსთან წარდგენილი ანგარიშები. საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ შემოსულ განცხადებებზე, როცა რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოთხოვას ეხება, უკუკავშირი ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი;

შემოსული და გასული კორესპოდენციები;

სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

ხელშეკრულებები;

Eshool და Eflow ბაზის დათვალიერება

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ამ დროისათვის, სკოლას აქვს ვებ გვერდი, აგრეთვე სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და ეფექტური კომუნიკაციისათვის იყენებს Facebook, Teams და Messenger პლატფორმებს. სკოლაში განხორციელებული აქტივობების გაზიარება ხდება სკოლის Facebook გვერდსა და აგრეთვე სკოლას აქვს სპორტული ფეისბუქ გვერდი, სადაც ინფორმაციას ეცნობიან, როგორც მშობლები ასევე მოსწავლეები და საზოგადოება, მაგ სოფელ რუსთავის საჯარო სკოლამ მიიღო სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა, როგორცაა სპორტული ოლიმპიადა, სასკოლო და მაღალმთიანი პროექტები და სხვა. სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ. მისია, ხედვა, ღირებულებები. ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ. აქვეა მითითებული სოციალურ ქსელში სკოლის მისამართი სა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს იქ განთავსებულ ინფორმაციასაც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების სოციალურ და ვებგვერდს მართავს სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი. სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. ხდება გადამოწმება სკოლის დირექციის მიერ და ვრცელდება მხოლოდ მას შემდეგ. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

სასკოლო ცხოვრების შესახებ სასკოლო საზოგადოება ინფორმაციას იღებს სასკოლო ერთეულებისაგან (კლასის დამრიგებლები, დირექცია). დირექცია განიხილავს მოწოდებულ ინფორმაციას და სანდოობის დადასტურების შემდგომ ინფორმაცია განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფასა და ვებგვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.სკოლა მუდმივად იღებს უკუკავშირს და აქვს მზაობა გაითვალისწინოს თემის და სასკოლო საზოგადოების აზრი. სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. იღებს უკუკავშირის მშობლებისა და მოსწავლეებისგან. ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სკოლაში, ძირითადად, უკუკავშირის მიღება ხდება დამრიგებლებთან და დირექციასთან, რასაც სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობის დაცვის ფარგლებში შემდეგი რეაგირებისათვის. წელიწადში ორჯერ სასწავლო წლის დასაწყისსა და დასასრულს სკოლა ატარებს მშობლებთან ღია შეხვედრებს სადაც სიტყვიერად ხდება უკუკავშირის მიღება გათვალისწინება

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.სკოლას აქვს როგორც ვებ- გვერდი აგრეთვე Facebook-გვერდი, რომელზეც სახელმწიფო ენაზე ხორციელდება სკოლაში ჩატარებული ღონისძიებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და თემისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5.სკოლას აქვს ვებ გვედი, რომელზეც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის მიერ ხდება ვებგვერდის განახლება და სკოლაში მიმდინარე პროცესების ასახვა

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებგვერდი - <https://skolebi.emis.ge>



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ბიუჯეტს ადგენს დირექციისა და ბუღალტერის მონაწილეობით, რომელსაც წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად. ბიუჯეტი გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს 12 ფინანსური კლასი. სკოლა ფინანსდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან ვაუჩერული დაფინანსებით. არსებული ვაუჩერული დაფინანსების 90% ხმარდება თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას, დარჩენილი თანხით კი ხორციელდება მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები და სკოლა იძენს საჭირო სასწავლო რესურსებს. ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა ფინანსური დოკუმენტაცია. შესყიდვები ხდება კანონმდებლობის დაცვით. სკოლამ სრულად წარმოგვიდგინა შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, შესყიდვების გეგმა, ბაზრის კვლევა, ინვოისი, ზედნადები, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი აბარებს ანგარიშს სამეურვეო საბჭოს, სადაც დეტალურად საუბრობს შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური



უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება– ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე, რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. გარდა ამისა, სკოლა მონიტორინგს უწევს ხარჯებს კვარტალურად. სკოლის ბიუჯეტი ყველასთვის ცნობილია. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ბიუჯეტი;

სამეურვეო საბჭოს ოქმი;

შესყიდვის დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი);

შესყიდვების გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების წესი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის მობილობა, სტატუსის შეჩერება. სკოლას შინაგანაწესით შემუშავებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები, სკოლა სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, მოსწავლეებს, მშობლებს აცნობს უფლებებსა და ვალდებულებებს. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის, თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის. შესაბამისად მოსწავლის უფლებების დაცვის გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ხელშეკრულება.

